რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებ- ში, ეზოს ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ- თაისში: ჭილაძის (გვარამიძის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე- მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак- цію „Дроэба".

„დროების" ფასი:
ერთის წლისა . . . 9 მან. || სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. || ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მოსაწერილთ ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე შაური.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია ყოველგვარს და მეტად მოკლებს დაბეჭდილ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ტფილისის მაზრის წინამძღომელი უმორჩილესად სთხოვს ამ მაზრის თავად-აზნაურთა წარუდგინონ მას კენჭის-ყრაში მონაწილეობის მიღე ისათვის საჭირო ქონებათა უფლების საბუთები და აგრეთვე მიბრძანდნენ იმის სახლში, მველ დამოქნასთან, 21 ამ მარტს, კვირას, დილის 10 საათზედ, როდესაც გაიხსნება ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება.

## ტელეგრამმა

(საკუთრივ ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 8 მარტს. რადგან ყოველის მხრით თხოულობენ, ამის გამო მმართებლობას განზრახვა აქვს რომ მუდამ წელიწადს იდღესასწაულოს 19 თებერვლის დღეობა.

ნავთსნობის წარმატებისათვის მთავრობა აპირებს, სხვათა შორის, ნავთსნობის სასწავლებლების გახსნას, გემებით გაგზავნილ საქონლის დაზღვევების შემცირებას, ნავთ-სადგურების გამართვას სოხუმში, ტუაპსეში და ნოვოროსიისკში, ზღვის საგაჭრო სამართლის მსწრაფლად წარმოებას, სევასტოპოლის პირ-და-პირ შეერთებას დონისა და კრივოროგის ბასეინებთან და აგრეთვე ხერსონთან და ნიკოლაევთან; ამას გარდა რკინის გზა კეთდება ბათუმიდამ ფოთი-თფილისის რკინის გზის შესაერთებლად, ფოთი-თფილისის რკინის გზა გლადიკავკაზზე გადავა ტონელით მამისონის ქედით და გაიყვანენ რკინის გზას შავ ზღვის ნაპირს.

პეტერბურღის ბირჟა, 8 მარტს.

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. | |
| პირველი გამოცემისა — | 96—25 | |
| მეორესი — — — — | 91—12 | |
| მესამესი — — — — | 91—25 | |
| მეოთხესი — — — | 91—25 | |
| მეხუთესი — — — | 90—25 | |
| აღმოსავლეთისპირვ. — | 90—12 | |
| აღმოსავლეთის მეორე | 90— „ | |
| აღმოსავლეთის მესამე | 90—12 | |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—13 | |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 217— „ | |
| მეორე სესხის — — | 211—50 | |
| 100 მანეთი ღირს: | | |
| ლონდონი — | 24—12 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205—50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 254—50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## დღიური

ახალს მთავარ-მმართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს დღეს, ოთხშაბათს მოელოდნენ ჩვენს ქალაქში; მაგრამ, როგორც „კავკაზში" დაბეჭდილს ტელეგრამიდამ ეტყობულობთ, ის მხოლოდ ხვალ, ხუთშაბათს, ნაშუადღევის სამს საათზე შემოვა ქალაქში.

როგორც ამბობენ, თ. დონდუკოვ-კორსაკოვი მცხეთიდამ ცხენით წამოვა თავის ამალითა და ყაზახ-რუსებით; ვერაზე, ჯვართან, ქალაქის თავი, ამქარი და უმთავრესი მოსამსახურე პირები მიეგებებიან იმას; აქვე ქალაქის თავი მიართმევს პურ-მარილს. ვერიდამ დაყოლებული თითქმის სასახლემდინ ჯარები და სამხედრო უწყება იქნება ქუჩის ორივ მხრით დამწკრივებული. სასახლის წინ კი იქნებიან სხვა-და-სხვა სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი და აგრეთვე სასწავლებლების მოწაფეები თავიანთ მასწავლებლებითა და უფროსებით.

ამ ჟამად კი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ვლადიკავკაზში იმყოფება, სადაც 8 მარტს მოსულა პიატიგორსკიდამ და სადაც ორ დღეს დაჰყოფს. დღეს, 10-ს დილით გამოვა ვლადიკავკაზიდამ და, როგორც ზევით ვთქვით, ხვალ ნასადილევს თფილისში იქნება.

* *
*

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში იქნება გამართული ქართული საყმაწვილო სალამო ნისლოვანი სურათებით, მუზიკით და, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნო სანახავი იქნება, ბავშვების სიმღერით, იმათის კითხვით და მუზიკაზე დაკვრით.

თუ არ ვსცდებით, ამ გვარი სალამო პირველად იმართება ჩვენს ქალაქში და ამიტომ, უეჭველია, დიდ ხალხს მიიზიდავს.

* *
*

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ (№ 43) დაბეჭდილი შენიშვნა იმის თაობაზედ, თუ რამდენი ვნება ეძლევა სოფლის ხალხს იმის გამო, რომ სახაზინო მამულები გარეშე პირთ, ვაჭრებს უვარდებათ ხელში იჯარითა და ესენი შემდეგ ერთ-ათ ფასად აძლევენ გლეხებს ამავე მამულებსა, როდესაც გლეხები გაჭირებულნი არიან და უ-ტყეოთ ანუ უ-სახნავსათეს და საბალახო ადგილოთ გაძლება არ შეუძლიანთ.

ძლიერ სასიამოვნოა, რომ სწორედ ამ გვარი სტატია ვნახეთ ჩვენ ახალ სომხურ ჟურნალში „არძაგანკში". ამ გაზეთს მოჰყავს სტატისტიკური ანგარიში, რომლიდამაც სჩანს, რომ კავკასიის ხუთს გუბერნიაში: თფილისის, ქუთაისის, ბაქოს, ერევნის და განჯის (ელისავეთპოლის) სულ ორმოცდა-ათი ათასი (50,000) დესიატინა თავისუფალი სახაზინო მიწა ითვლებაო, რომელსაც ხაზინა იჯარით აძლევს და მთელ ამ მამულის იჯარაში წელიწადში მხოლოთ ას-ექვსი ათას მანეთს იღებსო, ე. ი. დესიატინაში ათ შაურსო მეიჯარადრებისაგან და ... მეიჯარადრეები კი ერთიხუთად და მეტადაც ღებულობენ გლეხებისაგან ამ იჯარის ფასსაო.

როგორ სამწუხარო მოვლენა არ არისო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, რომ ამ გვარის წესით მხოლოთ შუამავალი ხალხი (ვაჭრები) სარგებლობენ და ვისაც ყველაზე უფრო ეჭირება ადგილ-მამული და ტყე (ე. ი. გლეხებს) კი ტყავი ძვრებათ და ხაზინასაც ცოტა შემოსავალი აქვსო.

ამ მოვლენის მოსასპობლად, „არძაგანკის" აზრით, ყველაზე უკეთესი საშუალება ის იქნება, რომ, რადგან ცალკე, თითოეულ გლეხებს არ შეუძლიან სახაზინო მამულის იჯარით აღება, მთელს სოფლის საზოგადოებას მიენიჭოს ეს უფლება და ხაზინამ ამასთანავე გაუადვილოს მას ეს საქმე.

საფუძლიანი აზრია.

* *
*

ახალ-ციხის მაზრიდამ გვწერენ.

„გავისტუმრეთ როგორც იქნა დიდის ვაი-ვაგლახით ზამთრის არენი: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. ამისთანა გულ-მწყრალი, ბუქ-კორიანტელიანი მძიმე ზამთარი დიდი ხანია არ დაგვდგომია. ყოველგან მოისმოდა სამდურავი ზამთრის სიმძიმისა და იმასაგან ზიანისა. მხოლოდ ხიზა-

(„დროების" ფელეტონი, 10 მარტი

### სატრფოს.

ციურთა მნათთა მნათობო,
მიწად ყოველისა მეფეო,
აჰა ჩემი შევედრე,
ტურფავ შუქ-მოიეფეო!

—

გულ ფიანდაზად გაშლილი
მუხლ-მოდრეკით გუნდრუკს გიკმევ;
შენა ხარ ჩემი დიდება,
გულის მეფევ, შენც მე მიყმევ.

—

შარავანდედნი ცისკრისა
შენთ თვალთგან გამოკრთებიან:
სუმბული შენი ფშვინვაა
რისთვის ყოველნი ზნდებიან.

—

ვინ გნახოს, რომ არ გახელდეს,
არ შეიქნეს შენი მონა,
ალვა სუნელის მფშვინავო,
შენ უებრო ვარდის კონა?!

—

მოკამკამე სპეტაკ სახეს
გადიყარე ჭმუნვის რიდე;
შვებას გული შენით ითხოვს,
მომხედე ნუ მომირიდე.

—

ნაზო, ნარნარო, გულთ მეფევ,
ეს ჩემი გულიც იახლე;
მაზედ ტურფად ინავარდე,
ალჰყვავდი და სულ იახლე.

—

მაგრამ... რაღაც კაეშანი
სახეს გიცვლის, არ გასვენებს!...
ნუ თუ შენს დარდის მომგვრელსა
ზენარი არ შეაჩვენებს?!

—

მაგ ელვარე მელნის ტბაში,
მხედავ, ცრემლი მოგერია!
ნუ თუ შენც ქვეყნის სიმუხთლემ
დაგძალა და მოგერია?!

—

ჩემი მწველის შენის ცრემლით
იქნებ მაწამებ განგება?...
წყალ წაღებულს იმედს მისპობ,
ნუ თუ არა გწამს განგება!!

—

გაიღიმე, არ გეგლოვის....
ნეტავ რა გაქვს მოსაწყენი:
ჩემებრი ლაღნი ტრფიალნი,
იცი, შენ გყავ რაოდენი?!

—

შენთვის ჭირსაც ლხინად იქცევს
ყოველი შენი ტრფიალი;
მას გააგმირებს და აღძრავს
შენის ნექტარის ფიალი!

—

ვერ შეაკრთობს მას ლაშქართა
ბრძოლის ყიჟინის ხმა, რებაl...
ნეტავ მას, ვის წილად შეხვდეს
შენთვის აბჯრისა ხმარება!

1 მარტი. ა. ცაგარელი.

### შეშლილის წერილები...

(გოგოლიდამ—სცენისათვის)

დღევანდელი დღე შესანიშნავი და დიდებული დღე არის! ესპანიაში აღმოჩნდა მეფე. ეს მეფე ვარ მე! ახლა შევიტყე. არ მესმის, აქამდის როგორ მეგონა, რომ უბრალო ტიტულიარნი სოვეტნიკი ვარ! როგორ გამიარა თავში ამისთანა სულელურმა აზრმა... კარგი, რომ არ გამიგეს და გიჟების სახლში არ ჩამამწყვდიეს... ახლა ყველაფერი ნათლათა სჩანს... ახლა, თითქოს ხელის გულზედ, ისრე კარგად ვხედავ... წინად კი, არ მესმის რატომ, ყველაფერი ბნელად მეჩვენებოდა... ნისლი.. ბურუსი... ამის მიზეზი ის არის, რომ ყველა დარწმუნებულია, ვითომ კაცის ტვინი თავში იყოს; სულაც არა! ტვინი ქარს მოაქვს კასპიის ზღვიდამ!...

ბავრა, ასპინძა და ხერთვისის ხეობა წუნდა-ნაქალაქევამდინ მშრალად დარჩა: რამდენიც თოვლი მოვიდა, ბუქ-კორიანტელმა აავაა; ამით დათესილ ყანებს ავნო: ზოგან თესლი გაიტაცა; აგრეთვე ამ მეტის-მეტმა სიცივემ ზოგან ვენახები გააფუჭა, დაახმო.

„მოხუცებულები ამბობენ, შვინდი არასოდეს არ გაუხმია ჩვენში სიცივესაო და წელს კი ისიც გაახმო. მაგრამ ხიზაბავსა-საროელებმა თებერვალშივე იწყეს სხვლა ვენახებისა; მთელი ზამთარი ამათ ცხვარი მინდვრად დაუდიოდათ.“

* * *

გაზ. „შრომა“ გვაცნობებს, რომ ბ-ნ ქუთაისის ღუბერნატორს წარუდგენია, საცა ჯერ არს, თავის აზრი, რომ ქალაქ ფოთს მიენიჭოს საქალაქო თვით მმართველობა, თუ ეს ქალაქი გამგეობისათვის საჭირო ხარჯის გაწევას შეიძლებს. ქალაქის თავი ჯერ-ჯერობით მთავრობისაგან იქნება დანიშნულიო, როგორც სხვა ჩვენ ქალაქებში იყო ადრე.

ფოთი ამ ხარჯს არ დაიშურებ ო და ადვილადაც შეიძლებსო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, რადგან იმას შედარებით ქუთაისზე მომეტებული შემოსავალი აქვსო.

## სომეხთ ქალების ქველ-მოქმედ საზოგადოება ტფილისში.

7 მარტს სომეხთ ქალების ქველ-მოქმედ საზოგადოება შეუდგა თავის საქმეს. საზოგადოების წევრთ ჰქონდათ პირველი სხდომა წმ. გაიანეს სკოლის სახლში. აქ შეიკრიბა თითქმის ოც-და-ათამდენ ყრმაწვილი და ხნიანი ქალები.

არხიმანდრიტმა მამბრემ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც აუხ ნა კრებას ამ საზოგადოების მოვალეობა; მრიცოვის ცოლმა-კი, ერთმა იმ პირთაგანმა, რომელთაც შეადგინეს წინადადება საზოგადოებისა, გამოუცხადა ქალებს თავისი თანაგრძნობა და სიხარული, რომლითაც ის აღტაცებულია ამ კეთილი და კაცობრივი საქმის დაარსებით.

ამისთანა ყრილობა ჩვენ ქალაქში პირველია. ამ ქველ-მომქმედ საზოგადოების დაარსება გვიმტკიცებს ჩვენ, რომ დედა-კაცნიც შეიქმნენ ჩვენში თანამოზიარენი განათლებისა, აღძრენ მაღალის გრძნობით განავითარონ დავრდომილი კაცის შვილების ჭკუა-გონება და ზნეობა. როგორცა სჩანს, განათლების სხივმა დააყენა ესენი იმ მტკიცე აზრზედ, რომ ერთი საზოგადოების ნაწილის ბედნიერება და კეთილ-დღეობა ამაო არის ხალხისათვის, თუ დანარჩენი შვილნი მამულისანი ბნელ საპყრობილეში იქმნებიან მომწყვდეულნი. ამ საზოგადოების მოთავეთ ნამდვილათ შეუთვისებიათ, რომ დედა-კაცი ბურჯია ოჯახისა და საზოგადოებისა; რომ დედა-კაცი არის პირველი აღმზრდელი და გზაზე დამყენებელი შვილებისა, რომლისაგანაც ყრმანი სიყრმაწვილითვე მიიღებენ კარგსა და ბოროტსა.

ეს კეთილი საქმე დააახლოვებს ჩვენ სომეხთ ქალებს ერთმანეთთან, განაშორებს იმათ უსაქმოებას, განათლების სხივი გაუნათებს იმათ მეცნიერების კვალს, გაუთბობს გულს, შეაყვარებს მოყვასის შვილს, მოაშორებს ცრუ, უსაფუძვლო და უნაყოფო მიმართულებას, რომლის ბადეში, ჟამთა ვითარებით, ბევრნი არიან ჩვენში გაბმულნი.

პირველი ნაბიჯი საზოგადოებისა განავრცელებს სხვა დედა-კაცთ შორის მაღალ დედა-კაცის მნიშვნელობას, იმის ადამიანურ ღირსებას, მოვალეობას, მოხდის იმათ პირ-ბადეს მორცხობისას საზოგადო საქმეში, მოაშორებს ცრუ-მიმართულებას და გახდის იმათ შვილებს ღირსათ იმ უკვდავების წყაროსი, რომელსაც უწოდებენ განათლებას.

მართლათაც განათლებამ უნდა მისცეს დავრდომილ, ღონე-მოლებულ ხალხის შვილებს ცოდნა, გაუნათლოს იმათ გონება და მიანიჭოს ხასიათი და ზნეობა, რომლითაც იმათ ექმნებათ ამ ქვეყანაში ერთი ლუკმაპური.

ამ მძიმე საქმის კეთილ-წარმოება დამოკიდებულია საზოგადოების გამგეობის პირებზედ, იმათ დაუძინარ მოღვაწეობაზედ, გონივრულ და აუჩქარებელ ნაბიჯზედ.

საზოგადოების თავსმჯდომარედ კრებამ ამოირჩია მრიცოვისა, იმის ამხანაგად — ხატისოვისა, ხაზინადრად — თამამშოვისა; წევრებად: მანგულოვისა, ხოსროევისა, გამბაროვისა, ახვერდოვისა, ალიხანოვისა, ტერ-მიკირტიჩანცისა, ბებუთოვისა და თამამშოვისა.

ჩვენ, ჩვენის მხრით, ამ ახალ ქველ მომქმედ საზოგადოებას ვუცხადებთ გულითად თანაგრძნობას და სურვილს, რომ იმათი კეთილი დასაწყისი დაგვირგვინდეს კეთილის და სასარგებლო საქმეებით.

როგორც ჩვენ დავატყვეთ, ამ სახალხო საქმეში მიუღიათ თაოსნობა და მონაწილეობა ბევრ გამოჩენილ სწავლით, კეთილ-ზნეობით და მამართულებით ყრმაწვილ ქალობას. ამათი სახელი, თუ დაივიწყებას არ მისცეს თავისი მოვალეობა, უკვდავი იქნება ხალხის გრძნობაში.

ამ ყრილობაში, სამწუხაროდ ჩვენდა, შევნიშნეთ ერთი ნაკლულევანება, რომლია დაივიწყება ჩვენის მოვალეობის წინაამდეგი იქნება. აქაც, როგორც ყველა ჟამს, მდიდარ კაცის ცოლობამ და ქალობამ თავი მოირიდეს. რა არის ამისთანა გულ-გრილობა საერთო საქმეში?... ნუ თუ მარტო ფულის შეტანა არის იმათი მოვალეობა?!.. ნუ თუ ხალხის ჭირი და ტანჯვა იმათთვის გაუგებარია. მართალია, მანამ კაცი სხვის სეედას და ტანჯვას არ დაუახლოვდება, ის იმის შეჭირვებას ვერ გაიგებს... აი ის ადგილი, სადაც ამათ შეუძლიანთ სახალხოთ დაამტკიცონ, რომ იმათ მარტო თავის-თავი არ უყვართ,—გამოიკვლიონ, რომ იმათ შეძინებულ საჩოში ურევია ოფლი და შრომა ჩვენი მოძმე ხალხისა. ამ შეძლებელ კაცის ცოლებმა და შვილებმა რო... დის და რა რიგათ [illegible] ნონ დავრდომილ [illegible] მსხვერპლი, თუ არ დღეს იმ სწავლ... და ცოდნით, რომელსაც მოითხ... ახლანდელი საუკუნე? როდისღა უ... და გამოიჩინონ თავისი სწავლა-ცოდ...ნა, თუ არ ამისთანა წმინდა და უმ...კო საქმეში?

ეს მოვლენა დიდათ შესანიშნავ... რატომ არ დაესწრენ ამ ყრილობაში... ამათი თავის-გამართლება ყოვლ... შეუძლებელია. უველას შეუძლიან ს... მიოდ საათი შესწიროს საერთო საქ...მეს, მით აასრულოს თავისი კაცობრ...ვი მოვალეობა და განიწმინდოს თა...ვისი სვინიდისი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რო... ყველანი, ვისაც რითი შეუძლიანთ... მისცემენ ერთმანეთს მხარს და იმ... წინ-წასწევენ ამ ჩინებულ საქმეს.

იქნება ამისთანა კარგმა მაგალითმ... დასძლიოს ჩვენი ქართველი ქალებ... და გამოიყვანოს ისინიც კაცობრ... ასპარეზზედ...

ი. წ.

## რუსეთი

(გაზეთებიდან)

ფილოქსერის შესახებ მუშაობ... გაუთავებიათ ყირიმში. სულ 470... დესიატინა ვენახები და ბაღები გა...მოუკვლევიათ და მთელი ეს გამოკ...ლევა და მუშაობა მთავრობას 250,00... მანეთად დაჯდომია.

—

სახალხო განათლების სამინისტრო... განზრახვა აქვს, რომ სასოფლო სკო...ლების პროგრამაში ჩაურთონ ს...სოფლო მეურნეობის პირველ-დაწყე...ბითი სწავლაც, რომ ოჯახობაში გ...მოადგეს სოფლელებსა.

—

ზოგიერთ უცხო ქვეყნის გაზეთებ...ში იწერებოდნენ, ვითომ იმ პოლი...ტიკურ პროცესის გამო, რომელ... პეტერბურღის ერთი სასამართლო... იხილავს ახლა, სტუდენტებსა და პო...ლიციას შუა შეტაკება მომხდარიყო...

---

ქველაზედ წინათ გოგოს გავუცხადე, თუ ვინა ვარ... როდესაც გაიგო, რომ იმის წინა სდგას ესპანიის მეფე, შიშისაგან კინაღამ სული აღმოხდა... სულელი!... თავის დღეში არ ენახა ისპანიის მეფე... მე მაინც დავამშვიდე და ვუთხარი, რომ არ გეჯავრდები წაღების ცუდად გაწმენდისათვის მეთქი... მაგრამ ქალი?!... ოჰ ქალი... საძაგელი, ულმერთო, ბოროტი ქმნილებაა ქალი!... მე ახლა გავიგე, მიხვდი თუ რა არის ქალი! ჯერ არავინ იცის ქალს ვინ უყვარს—მე აღმოვაჩინე პირველად ეს. ქალს უყვარს სატანა!..სათაელი!.. დიახ! ფიზიკოსები სისულელეს სწერენ, რომ ქალი ასეთ ისეთ... არა! არა! ქალს უყვარს მარტო სათაელი!... აი... აი... ხედავთ პირველი იარუსის ლოჟიდამ ლორნეტში იცქირება.... თქვენა გგონიათ ამ ღენერალს უცქერს... არა!.. სრულებით არა!.. ის. ის ჩასჩერებია ეშმაკს, რომელიც აქ იმალება ზურგს უკან... აი .. აი... დაიმალა... სულ ჰქრება... ხელს უქნევს... ეს ქალი გაჰყვება ცოლად იმას... ცოლად გაჰყვება!... გაჰყვება!...

—

ნევის ქუჩაზე გავიარე დღესა, მაგრამ კი არავის შევატყობინე, რომ ისპანიის მეფე ვარ... სირცხვილი იყო... ისპანიური ტანისამოსი არ მეცვა!.. მანტია მინდოდა მეშოვნა, მაგრამ ვერსად ვიშოვნე და მე თვითონ გამოვჭერი.. აი აქა მაქვს... მზათ არის... აი.. აი!.. ძალიან მიკვირს, რომ ამდენი ხანი დეპუტატები არ მოდიან.. მივედი ფოჩტაში ვკითხე რომ არ მოსულან მეთქი და ფოჩტმეისტერმა, სჩანს ვილაც გიჟია,—მიპასუხა არაო, თუ გნებავს წერილი გაუგზავნეო... წერილი?!.. რა არის წერილი?.. სისულელეა!.. წერილებს მარტო აფთიაქრები სწერენ...

—

ესეც ისპანიაში ვარ! ეს ისე ესწრაფად მოხდა, რომ ჯერ გონზედაც ვერ მოვსულვარ.. დილით დღეს მოვიდნენ ჩემთან დეპუტატნი ჩავსხედით კარეტაში და გამოვსწიეთ... ისე ჩქარა მოვდიოდით რომ ნახევარ საათს ისპანიის სამზღვარს მოვაწიეთ. უცნაური ქვეყანა ყოფილა ისპანია! პირველ ოთახში შევედით, ხალხით სავსე იყო და ყველანი თავ მოპარსულნი—მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ისპანიის დიდ-კაცობა უნდა იყოს, რადგან თავს იპარსვენ მეთქი. ახირებულად მომეპყრო პირველი მინისტრი, მომკიდა ხელი, პატარა ოთახში შემათრია და მითხრა: აქ იყავ და მეორედ მეფე ფერდინანდის სახელის დარქმევა აღარ გაბედოო! თანაც ისე მწარეთ გადამკრა ზურგზედ ჯოხი, რომ თვალთაგან ცრემლი ტამომცვინდა.. დაგ...ჩი თუ არა მარტოკა, მაშინვე მივყ... ხელი სახელმწიფო საქმეების გარჩევ... მე აღმოვაჩინე, რომ ჩინეთი რა ის...პანია ერთი და იგივე ქვეყანაა-ყველ... ვურჩევ დასწერონ ქაღალდზედ ის...პანია და ნახვენ თუ ჩინეთი არ გა... მოვიდეს. მარტო სულელები ამტკ...ცებენ, რომ სხვა-და-სხვა სახელმწი...ფოაო! მაგრამ მე ყველაზედ უფრ... მაშინებს ის შემთხვევა, რომელიც ხვალ უნდა მოხდეს: ხვალ 7 საათზე დედამიწა დაეცემა მთვარეზედ! ძალი...ან შევსწუხდი, რადგან მთვარის ნაზ... აგებულების ამბავი ვიცი... მთვარე... ჰამბურგში აკეთებენ და საძაგლად... აკეთებენ- მიკვირს რატომ ინგლის... ყურადღებას არ მიაქცევს... მილ... სულელი აკეთებს, რომელსაც მთვა...რისა არაფერი გაეგება: ზეთით და... კუპრით შეუზავებია და ამის გამ... ისეთი სიმყრალეა დედამიწაზედ, რომ...

პეტერბურღის ფრანცუზული ოფიციალური გაზეთი ამბობს, რომ ეს ამბავი სულ ტყუილიაო, არავითარი შეტაკება არ მომხდარა პოლიციასა და სტუდენტებს შუაო. იგივე გაზეთი ჰკიცხავს ვიქტორ ჰიუგოს, რომელმანც, ამ პოლიტიკურ პროცესის გამო, წიგნი დაბეჭდა ერთს პარიჟის გაზეთში.

—

ხელმწიფე იმპერატორის საკუთარის ხარჯით რუსეთის ყველა საშუალო სასწავლებლებში იზრდება ამ ჟამად სულ 97 ყმაწვილი, რომლიდამაც 41 სტიპენდიანტი მარტო პეტერბურღის გიმნაზიებში ითვლება. ყველა ამ სტიპენდიებზე იხარჯება წელიწადში 30,000 მან.

—

ამბობენ, ახალი განკარგულება გამოვაო, რომლის ძალითაც ყველა იმ ჩინოვნიკებს, რომელთაც ხაზინიდამ არენდა აქვთ მიცემული, აღკრძალული ექნებათო, რომ ეს არენდით მიცემული ადგილ-მამული სხვას ვისმე გადასცენ იჯარითაო.

—

ერთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან, სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვსო, რომ საქალაქო სასწავლებლებში შემოკლებითი ექიმობის სწავლა შემოიღოსო.

## ქართული ისტორია *)

### V

**ბარტომ**, შვილი არტაგისა (66†33), ზედ-სიძედ იყვანს ქართლოსის მთამომავალს, ქუჯის შვილის-შვილს ქართამს, რომელიც განაგებდა ეგრისს და რომელიც 33 წელს მოიკლის სიმამრითურთ ბრძოლაში მირვანთან. ამ ბრძოლაში ბარტომს შემწედ ჰყვანდა სომხები, მირვანს სპარსნი. მეფედ ჯდება:

**მირვან II**, ფარნაჯომის შვილი (33†23), რომელიც ირთავს მძლავრობით ბარტომის ქვრივს.

**არშაკ II**, მირვანის შვილი (23†2), რომელსაც შეებმის ქართამის შვილი ადერკი. ადერკს შემწეობას აძლევს სომხის მეფე, არშაკს სპარსეთის მხედრობა. არშაკი იძლევა. მეფედ ჯდება:

**ადერკი** (2 წ. ქრ. წინ, †55 წ. ქრ. შემდ.). ამის დროს სტრაბონის ცნობები კავკასიაზე და ჩვენ ტომზე, და აგრეთვე ქადაგება ანდრია მოციქულისა დასავლეთ საქართველოში.

მეფე ადერკი.—კავკასია და საქართველო სტრაბონის გამოკვლევით.

არტაგის შემდეგ საქართველოს მეფეთ დაჯდა იმისი ძე ბარტომი. იმის დროს სპარსეთში მამა-მძუძესაგან აღზრდილმა ფარნაჯომის შვილმა მირვანმა სპარსეთის ძალით მოსთხოვა მამის ტახტი ქართლის ერისთავებს. ერისთავებმა არ შეიწყნარეს თხოვნა და ყველანი მიემხრნენ ბარტომს. ბარტომმა შემოიკრიბა სპა ქართლისა, მოიროთო სომხეთით ძალი და ხუნანში, ბერდუჯის მდინარეზე მიეგება მირვანს. სომეხნი და ქართველნი იძლივნენ, თვით მეფე ბარტომი მოიკლა. ბარტომს ჰყვანდა მხოლოდ ერთი ქალი, ცოლი ქუჯის შვილის-შვილს ქართამსა, რომელსაც შესდგომოდა ფარნავაზიანობა და რომელიც ბარტანთანვე მოიკლა. ცოლი ქართამისა შევიდა სომხეთში, სადაც ჰშვა ყრმა ადერკი. მირვანმა დაიჭირა ქართლი; ფიცით და აღთქმით გამოიყვანა ციხე-სიმაგრეებიდამ ერისთავები; მძლავრობით შეუღლდა ბარტომის ქვრივს. თვით ადერკი იზდებოდა სომხეთში. იმან გამოსთხოვა ჯარი სომხეთში მეფეს და გაილაშქრა ქართველთ მეფეზე მირვანის შვილზე არშაკზე. არშაკმა შემოჰკრიბა ქართლის ერისთავნი, მოიროთო ძალი სპარსეთით და თრიალეთზე იწყო ბრძოლა, რომელშიაც სრულებით იძლია არშაკი და გამეფდა ადერკი.

ამ გვარად დაიჭირა კვლავ სამეფო ფარნავაზის გვარის შვილმა. ადერკმა იხელმწიფა მეორეს წლიდამ ქრისტეს შობამდე 55 წლამდე ქრისტეს შემდეგ. ადერკის მეფობაში ორი შემთხვევაა ღირს-საცნობელი: ჩვენის მხარის აღწერა განვითარებულის ბერძნის მწერლის სტრაბონისაგან და შემოსვლა ანდრია მოციქულისა დასავლეთის საქართველოს მხარეებში ქრისტეს აღსარების გასავრცელებლათ.

სტრაბონი დაბადებულა პონტის ქალაქში ამასიეში 50 წლ. ქრის. წინ და მიცვლილა რომის იმპერატორის ტიბერის მეფობაში (37 წ. ქრ. შემდეგ). სტრაბონს დაუწერია ორ-გვარი თხზულება—ისტორიული, საუბედუროდ, დაკარგული და გეოგრაფიული. სტრაბონს დაუვლია სირია, ეგვიპეტი, საბერძნეთი, იტალია და თვით ჩვენი მხარე. იმისი გეოგრაფიის აქა-იქ გაბნეული ადგილები და მეტადრე მე-XI და მე-XII წიგნები წარმოგვიდგენენ უკეთესს ძველთაგან სურათს კავკასიისას, რომელიც ღირსია შესწავლისა. სტრაბონის წყაროები კავკასიაზე—თვით იმის მიერ გაგონილი და ნახული და მიტრიდატისა და რომაელების დროს შეგროვილი ფაქტები. ერთ ადგილს ის ამბობს: „ამ ქვეყნებზე ცნობანი გარდამოცემული გვაქვს მიტრიდატ ევპატორისაგან და იმის მოადგილეთაგან“. ზოგიერთ ცნობა სტრაბონისა ეკუთნის პომპეის ისტორიკოსს პოსიდონიოსს „შენიშნეთო—იტყვის სტრაბონი—რომ პოსიდონიოს იყოო მეგობარი პომპეისა, რომელმაც კოლხიდის ზღვის კიდით კასპიის ზღვის კიდემდე გაიარაო და თავისი მხედრობა იბერიაში და ალბანიაში შეიყვანაო“. გარდა ამისა სტრაბონი აფუძნებს თავის აღწერას როგორც თეოფანეზე, რომელიც პომპეის თურმე დაჰყვებოდა და თვით ყოფილა ალბანიაში, აგრეთვე მეტროდორ სკეპსისზე და ჰიფსიკრატზე, რომელთაც საფუძვლიანად იცოდნენ ეს მხარე. აქედამ სჩანს, რომ სტრაბონს შეეძლო დაწვრილებით გამოეკვლია კავკასია.

სტრაბონის თქმით, კავკასი არის ვრცელი ზურგი, რომელსაც უწოდებენო ხან კავკაზად, ხან მთის ქედად, და ადგილობრივნი მცხოვრებნი კი, ერატოსფენის მოწმობით, სახელ-სდებენო კასპიურად. ეს უკანასკნელი სახელი მისცემია, როგორც სჩანსო, იმ კასპიელთაგან, [illegible] სამხრეთად თურმე [illegible] კავკაზის ზურგი განნაწილდებოდა რამდენსამე შტოებად, რომელნიც ერთის მხრით ჰსაზღვრავდნენ იბერიას და ალბანიას, მეორეს მხრით უკავშირდებოდნენ მესხეთის მთას, შემდეგ იმის გაყოლებას სკიდისესს და პარიადრესს, ჩვენის დროს ჭანეთის მთას. თვით ეს ორი ქედი უერთდებოდა ტავრს, რომელიც შეადგენდა სამხრეთ ნაწილს არმენიისას. გარდა ამისა კავკაზს ჰსაზღვრავდნენ: პონტისა და კასპიის ზღვები. პონტის ზღვას ძველად თურმე ერქო *Pontos Axcinos* „სტუმართ შეუწყნარებელი“ ზღვა იმის შფოთიანის ხასიათის გამო, როგორც პირ-ქუშობის გამო ზღვის პირის მცხოვრებთა, სკვითთა, რომელნიც როგორც იტყვიანო, უცხოეთელებს ჰხოცავდნენ, იმათ ლეშს სჭამდნენ და იმათ თავის სარქმელს სასმელო ჭურჭლის ნაცვლად ხმარობდნენ. პონტს დარქმევია *Pontos Euxenios* „სტუმართ შემწყნარებელი“ მაშინ, როდესაც გარეშემო იმისა დაფუძნებულა ელლინელთ კოლონიები. კასპიის ზღვა, რომელიც სივრცით მცირედ თურმე განსხვავდებოდა ევქსინის პონტზე, იწოდებოდა აგრეთვე ჰირკანიის ზღვად ჰირკანიელებთა გამო, რომელნიც იმის სამხრეთად მკვიდრობდნენ.

კავკაზი მდიდარი იყოო ყოველგვარის ტყით, მეტადრე სახომალდო ხე-ტყით. იმისი უმაღლესი ადგილები ზამთრობით დახშული თურმე იყო. თოვლისა და ყინულის გამო მთიულნი ასასვლელად ხმარობდნენ ერთგვარ განიერ ქალამნებს გამოუქნელის ხარის ტყავისას. ჩვენის ფიქრით, ეს უნდა იყოს ახლანდელი თხელამურა. ჩასასვლელად სხდებოდნენ პირიუტყვის ტყავზე, გვერდით ჰქონდა ბარგი, და ამ გვარად ცურავდნენ მაღლიდამ დაბლა. ეს ჩვეულება ახლაც არის, მხოლოდ ტყავის მაგიერ იხმარება დაგორგოლებული ნაბადი, რომლითაც შეყინულს თოვლზე და-

---

ცხვირი უნდა აიკრათ და თვითონ მთვარე ისეთი ნაზათ გამოვიდა, რომ ადამიანს იქ ცხოვრება არ შეუძლიან... მარტო ჩვენი ცხვირები სცხოვრებენ აქა და ამიტომაც ვერა ვხედავთ ჩვენს ცხვირებს. და როდესაც, მომაგონდა რომ მიწა მძიმე ნივთია და თუ მთვარეს დაეცა ჩვენს ცხვირებს სულ მტვრათ აქცევს მეთქი-ისე შევსწუხდი რომ მაშინვე გავექონე სახელმწიფო რჩევის ოთახში. მინდოდა ბრძანება მიეცათ პოლიციისათვის, რომ დედამიწა არ გაეშვათ მთვარისაკენ... თავმოპარსულნი გრანდები ჭკვიანი კაცები ყოფილან და როდესაც დაუძახე: „ბატონებო, დაიხსნათ მთვარე, თორემ დედა-მიწას განზრახვა აქვს, მოლეწოს“-მეთქი, მაშინვე წამოცვივდნენ და შეუდგნენ ჩემის მეფურის ბრძანების აღსრულებას: კედლებზედ დაიწყეს აცოცება, რომ მთვარე ჩამოიღონ! მაგრამ ამ დროს შემოვიდა პირველი მინისტრი-ყველანი კაიფანტნენ... დავრჩი მარტოკა... მინისტრმა მომირთო ჯოხი და შემამწყვდია პატარა ოთახში... უცნაური ჩვეულება ჰქონიათ ისპანიაში...

—

არ ვიცი, არ მესმის... ვერ გამიგია აქამდის რა ქვეყანა არის ისპანია? არ მესმის... არ მესმის... სრულებით არ მესმის! დღეს თმა გადამპარსეს, თუმცა ბევრი ვიძახე, რომ ბერობა არ მინდა მეთქი... მაგრამ იმას კი ველარ წარმოვიდგენ, თუ რა დამემართა, როდესაც ცივი წყალი დამასხეს... ისეთი ჯოჯოხეთის ტანჯვა თავის დღეში არ მიგრძვნია... სულ გავგიჟდი... ძლივს ცოცხალი გადურჩი ჩემს მტარვალებს... ოოჰ!. რა ჩვეულებაა?! არ მესმის... უაზრო, სულელური ჩვეულება. სულელი მეფეები ყოფილან, რომ აქამდის ვერ მოუსპიათ ეს ჩვეულება! ეს ყველამ იცის, რომ, როდესაც ინგლისი ბურნუთს ეწევა... საფრანგეთს ცხვირს აცემინებს.

—

რა მწარეა ის ჯოხი...მაგრამ დღეს კარგად დაჯილდოვებული ვარ: მე აღმოვაჩინე, რომ ყველა მამალსა თურმე თავის ისპანია ჰქონია... ფრთებს ქვეშ... ფრთების ქვეშ!..

—

არა! აღარ შემიძლიან მეტი მოთმენა! ღმერთო...რას მიშვრებიან! ცივს წყალს მასხმენ თავზედ!!. ღმერთი სწამთ მაგათ! არ ესმით ჩემი ტანჯვა.. არ ისმენენ ჩემს ვედრებას! რა დავუშავე? რათ მაწამებენ ესე? რა შემიძლია რომ მივსცე? მე არა გამაჩნია-რა!.. ველარ, ველარ გავუძლებ ამდენს ტანჯვას, თავი მიხურს... ყველაფერი ბრუნავს ჩემს გარეშემო... მიშველეთ!.. გამათავისუფლეთ აქედამ!.. მომგვარეთ ნიავ-ქარივით მალი რაში... დაჯექ ძმაო.. დაჰკარ მათრახი... გასწი... გაფრინდი...წარმიტაცე აქედგან...შორს... შორს!.. რომ ვერავინ ვნახო... არავინ მნახოს... აი გამოჩნდა მოღრუბლული ცა... ვარსკვლავი ბრწყინავს მაღლა... ბინდი მოედო არე-მარეს... აი ერთის მხრით ზღვა... მეორისა იტალია... სახლებიც გამოჩნდნენ. . ის... ის...სახლი!.. მგონია, დედა ზის ფანჯარასთან... დედავ! დედავ... მოჰხედე შენს შვილსა... ვერა ხედავ როგორ მაწამებენ!.. მიიკარ გულზედ შენი დატანჯული, უბედური შვილი! შეიბრალე, დედავ, ეს ჩემი საბრალო თავი!!!. იცით თქვენ, რომ ალჟირის ბეის ზედ ცხვირზედ მეჭეჭი ამოსვლია?!..

გ. მესხი.

ტფილისი, 3 მარტს.

ეშვებიან ხოლმე მთის კალთებზე. ხმარობდნენო აგრეთვე ხან-და-ხან წვეტიანს ფიცარს მგვალს და მოგძოს, რომელიც ფეხ-საცმელზე თურმე იყო მიბმული. სტრაბონი მოიხსენებს კავკაზიაში მრავალ-რიცხვ ენებს: მარტო ალბანიაში უჩვენებდნენ 26-მდე სხვა-და-სხვა ენას. მომეტებული ენები ყოფილა დასავლეთ მხარეს. დიოსკურიის ქალაქში დროითი დრო თურმე ჩამოიკრიბებოდა სხვა-და-სხვა ხალხი, სხვა-და-სხვა ენების მოსაუბრე — 70-მდე, და არა 300-მდეო, როგორც ზოგნი ამტკიცებენო.

სტრაბონის მოწმობით, ტანაისიდამ (დონიდამ) ვიდრე ფაზამდე მკვიდრობდნენ: ა) ტანაისის პირთ სავრომატნი; ბ) მეოტიდის ანუ აზოვის ზღვის ნაპირზე მაეტნი; გ) ტამანის ნახევარ კუნძულზე და პონტის პირანაპამდე სინტნი; დ) ანაპის სამხრეთათ გელენჯიკამდე კერკეტნი, ახლანდელნი ჩერქეზნი; ე) გელენჯიკის სამხრეთ-აღმოსავლეთათ ყოფილან ახიელნი ანუ მელონნი, „რომელნიც ტროადიდამ მიმოვლიან და ზღვის ღელვას შეუტაცნია ხსენებულს ადგილს"; ვ) ახიელების მეზობელნი და დიოსკურიის მოსაზღვრენი ჰენიოხნი, „ლიკონიის კოლონია, რომელიც კასტორს და პოლლუქს მოჰყოლია"; ზ) დიოსკურიის დამცქერნი მთის ქედიდამ სოანნი ანუ სვანნი; ჱ) ჰენიოხების მოსაზღვრენი კოლხნი: ამათ ეჭირათ მთელი პონტის პირი ტრაპეზონამდე, რომელიც შეადგენდა საზღვარს კოლხებისას და ტიბარენებისას; თ) ტრაპიზონს იქით ტიბარენნი კაპადოკის საზღვრამდე; ი) ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზემოთ ტიბრენნივე, მაკრონნი ანუ სონნი (ცანნი, ჭანნი); ქალდეველნი ანუ ძველნი ხალიბნი ფარნაკის უახლოესათ. კავკასიის აღმოსავლეთ-სამხრეთათ მკვიდრობდნენ, იბერიელთ გარდა, ლეგნი, ალბანნი, კასპიელნი, კადუსიელნი და გელნი.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება.)

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუროვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუროვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუროვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუროვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუროვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუროვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ.ს სუსტის ავათმყოფობისა.

---

# განცხადებანი

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—1)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპ-ესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—73)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზეს არხიტეკტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—4)

---

საამო განცხადება.

ვისაც სურს ნამდვილი კახური ბუნებრივი, არომატიული ღვინოებით დაატკბოს თვისი გემოვნება, ინებოს და მიირთვას ღვინოები „ალაზნის" სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, ლეკანოზის ორბელის სახლებში № 14, თავ. ირაკლი გრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—6)

---

დასყიდვა აღდგომამდის

ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ, შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაფი, მაუდი, ტრიკო, ხოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; სიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდგა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ხოთქები 30 კაპ. კრესლოები—ტასტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღეთ ყველი—ჩესტრ 60 კ. გირვანქა. ახალ-ახალი — წმინდა და ვერცხლის სანთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტასტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—5)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, მხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეჭხინის ზეთისა) და სხვ. საავგუსტო მაგისტრატის მოსახურავებს გასასყიდად კანფეტების და მატყურის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჭანას სიგარები. (100—86)

---

# სალიანი

საკუთრად თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ახლად მივიღეთ სალიანიდამ ნამდვილი სალიანის შამაიები და ისყიდება ნაკლებ ფასად, როგორც პარტიობით ისე წვრილათაც. (5—3)

---

# ევგენი ბერნექს

ვორონცოვის წყლის ნაპირა ქუჩა, № 46, საკუთარი სახლი ქ. ტფილისში.

**სადურგლო და სამალიარო ქარხიდა.**

შპალერებისა და მარმარილოს და თუჯის ავეჯეულებათა. (5—4)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ ... ჩაი, კაკაო, შოკოლადი, ბისკვიტი, ... რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნ... ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკ... ბი, ფოლდნოსები, პირის-საბანი, კლიტ... ები, სამერკელი, ტანისამოსის საკიდ... კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდ... კანვერტები, რვეულები, კარანდაშ... თოფები, რევოლვერები, კრაგები, ... ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლ... ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთო... ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოც... ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხებ... შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვი... ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მა... ღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნაკ... დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 5... მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხის 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ... (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრი... კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—3... მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალ... უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის და... ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ. დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ... ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფ... ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—95)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (... ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნ... სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ... გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

ტაქსია

ავეჯად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Марта 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.